ხელშეკრულების საგანი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს (ორგანიზაციული კოდი 32 05 02) ასიგნების ფარგლებში სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების (CPV: 45400000) დაფინანსება თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

2. დაფინანსების ოდენობა და წესი

2.1 ,,თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს" სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლას სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოუყოფს დაფინანსებას 53573,26 (ორმოცდაცამეტიათასხუთასსამოცდაცამეტი ლარი და 26 თეთრი) ლარის ოდენობით.

2.2. სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მიზნით ,,თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს", ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში, ავანსის სახით გადაურიცხავს, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის 50 %-ს.

2.3 ტენდერში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენისა და კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შემდგომ, ,,თანხის გამცემი" ,,თანხის მიმღებს" გადაურიცხავს (შეუვსებს) კორექტირებული ხარჯთღრიცხვის შესაბამისად დაზუსტებული საერთო თანხის 90%-ს, ხოლო დარჩენილი თანხის 10%-ის გადარიცხვა განხორციელდება სათანადოდ გაფორმებული შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

2.4 ,,თანხის გამცემი" უფლებამოსილია, ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შეაჩეროს თანხის გაცემა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

3. დაფინანსების პირობები

3.1 ,,თანხის მიმღები" ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენება.

3.2 „თანხის მიმღები" იღებს ვალდებულებას მიღებული თანხის აუთვისებელი ნაწილი სრულად დააბრუნოს "თანხის გამცემის" შემდეგ ანგარიშზე : ანგ. №200122900 ბანკის კოდი – 220101222, შემოსავლის სახაზინო კოდი – 302009921.

4 მხარეთა მოვალეობები

4.1 ,,თანხის გამცემი" ვალდებულია ,,თანხის მიმღებს" გადაურიცხოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული თანხა, ამავე მუხლით გათვალისწინებული წესისა და ვადის დაცვით.

4.2 „თანხის მიმღები" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, თანდართული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებისას, იმოქმედოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად განსაზღვრული სამუშაოები განახორციელოს და შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია (ფორმა№2, ფორმა№3, მიღება-ჩაბარების აქტი, გახარჯული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) სამუშაოს შესრულებისთანავე წარმოადგინოს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის